

შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/01

თბილისი

“ 14 “ იანვარი 2016 წ.

გაზაფხულის სემესტრის მობილობის ვაკანტური ადგილების, ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთსუ-ის წესდების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების მე-5 და მე-9 მუხლების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 8 იანვრის №11 ბრძანების, გთსუ-ის მობილობის დებულების 1 მუხლის, ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის, სამართლის ფაკულტეტის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

§ 1

1. განისაზღვროს გთსუ-ში გაზაფხულის სემესტრის მობილობის ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე - 35 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 10 ადგილი;
- ტურიზმი - 10 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 5 ადგილი;
- საბანკო საქმე - 5 ადგილი;
- რეკრეაციული ტურიზმი - 5 ადგილი.

სამართლის ფაკულტეტზე - 35 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 15 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 10 ადგილი;
- კერძო/ბიზნეს სამართალი - 10 ადგილი.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 25 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკა - 10 ადგილი;
- ფსიქოლოგია - 10 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- მასობრივი კომუნიკაცია - 5 ადგილი.

2. განისაზღვროს 2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 26 იანვრიდან - 9 თებერვლამდე;
- ✓ უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა - 27 იანვრიდან - 10 თებერვლამდე;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა - 18 თებერვალი.

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი;
- ✓ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- ✓ სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

§ 2

1. განისაზღვროს გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე - 50 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 25 ადგილი;
- ტურიზმი - 10 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 5 ადგილი;
- საბანკო საქმე - 5 ადგილი;

- რეკრეაციული ტურიზმი - 5 ადგილი.
- სამართლის ფაკულტეტზე - 6 ადგილი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 3 ადგილი;
- კერძო/ბიზნეს სამართალი - 3 ადგილი.

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 8 ადგილი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ჟურნალისტიკა - 5 ადგილი;
- ფსიქოლოგია - 3 ადგილი.

2. განისაზღვროს 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- ✓ დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 26 იანვრიდან - 9 თებერვლამდე;
- ✓ უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა - 27 იანვრიდან - 10 თებერვლამდე;
- ✓ ხელშეკრულების გაფორმება - 11 თებერვლიდან - 15 თებერვლამდე;
- ✓ ჩასარიცხ პირთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენა - 18 თებერვალი.

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);
- ✓ ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული სერტიფიკატის ასლი.

4. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

- დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტებს;
- გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი